


କବିତାଲ୍ଲମ୍ବନ ଚାରିଏଣ୍ଟିକ

ପ୍ରକାଶପାଦନ ଲାଭପାତ୍ର

ଗାନ୍ଧୀଜୀଙ୍କର № 354.

ପ୍ରମାଣିତ ଦିନ 17 ଜୁଲାଇ 1911 ରେ.

ଫାର୍ମାଚେକ୍ ନଂ 62



ପାଠ୍ୟପରିବହନ, ନାବାରୁ ଜୀ ଜ୍ୟୋତିରାମଙ୍କୁମାର

ველი

(შემდეგი *)

2

კესო, წლი-ნახევრის დარჩა დედას. ქალის სიკვდილს შემდეგ, წამოიყვანა დიდებამ და თავისთან ზრდიდა. პატარა კესოში ხელავდა, უდროოდ გადაცვლილ თავის ანოს. დედასავით გულ მოწყალე და შრომის მოყვარე კესო, უველავერში შველოდა დიდებას. მამამ ერთს წელიწადს იგლოვა კესოს დედა. მერე-კი შეირთო ცოლი, და მიეცა ერთი ვაჟი. რამდენჯერმე წაიყვანა კესო მაგრამ, არ იქნა, დედა-ნაცვლის გული არ მოლბა კესოს მიმართ. პატარა ობოლი, თვისი მოსისხლე მტერი ეგონა, კესოში დაესახა თავის მეტოქი, ვერ შემრიგებოდა იმ აზრს, რომ გარსევანს ნება ჰქონდა სხვა ქალის შვილი ჰყვარებოდა და რამდენიმე ნა. წილი თავის გონგბის, კესოზედ ფიქრისთვის დაეთმო, ვერ ეპატიგბინა პატარა გოგოსთვის, რომ ის უფროსი სიყმის-შვილი იყო მისივე ქმრისა. გარსევანმა ისევ დიდებას წაუყვანა ბავშვი და უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში მასთან იყო განუყრელად. კესო ხშირად იყო მამისგან მივიწყებული. მეტ ნაწილს შიშველ ტიტვლად დადიოდა როდესც მისი ტოლი იმხანავები იცვამ იხურავუნენ. ამათ უველას არათ ადღებდა ბავშვი. უველა ამ დანაკლის უფასებდა დიდებას მხურვალე სიყვარული და დაყვავება. ჩუმად სტოროდა სამრალო მოხუცი დაკარგულ შვალს და დედა-ნაცვლის ხელში ჩავარდნილ კესოს ბედა:

— „კაცი სტუმარია სახლში, რას გაუგებს უბელური მამა მისი, რამდენ ტანჯვას მიაყენებს ჩემს ანგელოზს უგალი დელინაცვალი. როცა მოვკვდები, ღმერთო, შენ იყავ ჩემი კესოს მფარევლიო“.— ავედრებდა ჩუმად ღმერთს. კესოს-კი უველასადმი სიყვარულს უნერგავდა გულში.

— „რა უყოთ შვილო, მერე, რომ გაგიწყრეს, შენ გვინდა — ძულხაჩ? არა, იმას უნდა კაი რო ვამოხვიდე და მიტომ გიწყრება. მართალია, იქნება ფიცხი ხასიათი აქ და გიწყრება მარა ჯერ, ახალგაზლაა, იგი ქალიშვილი იყო და მამაშენი ქვრივი, მერე გერიც დახვდი და ყმაშვილი ქალის გულს ეხამუშება, მარა არაფელია. მისი შვილები რო მიეცემა, ხასიათი გამევცვლება, შეგიბრალებს და უფრო შეგიყვარებს. თავის დღეში არ შეიძულო დელინაცვალი-კი არა, არავინ. კეთილი იყავი უველასადმი გიყვარდეს გლახა კი, განიკითხავდე გაჭირვებულს. შენს ლუკმას, განუყოფდე შშიერ-მწყურვალს. ასე გვარივებს შვილო ჩვენთვის წამებული ქრისტე, ასეთი მცნება დაგვიდვა. შეიყვარეთ ერთი-მეორე ვითარცა თავი თქვენიო. „სიყვარულშია ხსნა და შველა სიყვარულშია სიცოცხლე და მისი მნიშვნელობა... ადამიანისადმი სიყვარული, — ამ გრძნობას სხვა ვერ შეედრება, შვილო...“


ხშირად აძლევდა ასეთს დარიგებებს, როცა ავდრიან დღეებში ცეცხლს უსხდნენ ორნი მარტო, ან ბოსტანს მარგლილნენ ან ფიჩხს ავროვებდნენ. როდები მღვდლის ქალი იყო და სამღვრთო წერილი კარგად ჰქონდა შესწავლილი ეს არაჩვეულებრივი დედაკაცი ბევრ რამეთი განირჩეოდა სოფლის ქალებისაგან: სიტყვა და საქმე ერთი ჰქონდა; შშრომელი, ჰქვიანი, სოფელ ჰქვეყნის მოსიყვარულე, ექიმი... და უველავერი იყო.

პირველ დაწყებითი სწავლა მან დააწყებინა კესოს. მერე მიაბარა სოფლის მღვდლელს. ახალ სწავლა დასრულებული



აპოშად-ალი, გადაყენებული ზაჲი, მამა ებლანდელ ზაჲისა.

ლი მღვდელი, ჯან ლონითა და ენერგიით სავსე მონღომებული იყო შრომის. შრომისთვის უწევდა გული, ეკლესიაში მხოლოდ სამსახურს ასრულებდა მას-კი უნდოდა სხვა გვარად გამოდგომიდა ხალხს, საქმით დაენახა თავისი შრომა. გაღო კერძო შეკლა სოფლის ღარიბთათვის. ვისაც ბინა შორს ჰქონდა სოფლის შეკლიდან ან ვინც იმდენად ღარიბი იყო, ვერ გადაეხდა წლიური ორი მანეთი, ვერ ეყიდა წიგნები და სხვა სასწავლო ნივთები, იმით უველას მღვდლისას მოეყარათ თავი, იმათ შორის იყო კესო და საუკეთესო შეგირდად ითვლებოდა. ქართულა წერა-კითხვა, ანგარიში, სამღვრთო სჯული, ისტორია, მოკლე გეოგრა-



ავენი-მირზა, სპარსეთის შეპი, შეიალი გადაყენებულ შეპისა.

ფიული აღწერილიათ, ზეპირ გადმოცემით, საბავშვო ლი-
ტერატურა, მეაპრეშემეობის და მეფეულკრეობის ნაწილი
ხელ-საქმე, აი რას სწავლობდა სოფლის ახალგაზღობის ლა-
რიბი ნაწილი.

უანგარო მუშაკს, გვერდს ედგა ახალგაზღა კე'ოს
დასრულებული მეუღლე და შველოდა ქმარს ქვეყნის სამ-
სახურში. ოცდათ ბავშვამდე ყოველთვის იყო მღვდლისას,
რომელთაც შეეძლოთ დედა-ქანაზე სჯა ბაასი, აზროვნება და
მოფუქრება. კვირა დღეებში მშვენივრად გალობდნენ ეკლე-
სიაში, ბევრად უსწრებდნენ წინ სკოლის ბავშვებს, რო-
გორც ჭრა-კოთხვით ისე მათთვის გამოსადეგი ცოლნითაც,

როდებს ჰყვანდა ერთიც დაცოლშვილებული ვაურ- მე-
ზობლათ სცხოვრობდა. ახალგაზღა რძალმა ვერ შეითვას
დედამთილი. გონიერმა რძალამ მუდამ უსიამოვნებას ამჯო-
ბინა ცალკე ცხოვრება. ჰყავდა თავისთვის ძროხა, ქათამი,
ბატი, იხვი, ყველაფერი რისიც მოვლა შეეძლო. ზაფხულო-
ბით აბრეშუმი მოჰყავდა მხოლოდ სიმინდს ლობიოს და ცა-
ტა ღვინოს აძლევდა შეიალი სარჩეოდ, დანარჩენში არ აწუ-
ხებდა ახალგაზღებს, სცხოვრობდა თავისთვის პატიოსანი მო-
ხუცი და პირნათლად გამოდიოდა სოფელ ქვეყანაში.

3

მეორე დღეს აღრე წამოხტა კესო ლოგინილან. მამას
წყალ-ტაშტი დაუმზადა და პირის დასაბანად, დატალახიანე-
ბული ტანისამისი დაუწმინდა, ცალის თვალით თავის კაბასაც
გადაჭედა. გარსევანმა დაიბარა პირი, ისაუზმა, პაპიროზი
აიწყო და მიუბრუნდა სიდედრის.

— დედა! ახლა ერთს ჩემს მოყვარეს ვრნახულებ, ჩაი-
ცვი კესო და გამიძებ ბიძაშენისას. ნავხოთ რავა შემხვდება
ის ცხვირ წირწირა რიძალი.

— ნუ დედა, შენ გენაცვალე, ნუ... რატო მალან-
ძლავ? ღმერთმა უცოცხლოს მის ქმარ-შვილს. მაგას ახლა
შენ ჩემთვას ამბოფა, მარა არა შვილო. იქნება მე არ ვარ-
გოდი, ვერ ვასიმოვნე... ხელს უშლილი... ასე ჯაბია დე-
და, ახალგაზღებმა თავით სცადინ ცხოვრების დაწყება, თა-
ვის ძალ-ლონით, თავის ჭყუით მთაწყონ ახალი ცხოვრება.
კესო, გამეეწყვე შვილო და წაიყვანე მამა მიცოლაშენთან,
იქიდან წირვაზე გადით და მანამდის მეც მოვამზადეფ სა-
ლილს.

— დედა, რა ვიცი სადილისთვის იქნება ვერ მევიცა-
ტო, შეადლის დელექტებს მინდა გავყვე. — უთხრა იმერულ
ნარევი ქართულით გარსევანმა.

— რა გეჩერება, შე კაცო, ათასში ერთხელ გამისე-
ნებ საწყალ მოხუცს და მაშინაც ლანდივით გამიქრები თვა-
ლიდან. — ცრემლი მოერია და კესოზედ გალიტანა ცრემლ
მორეული თვალები.

— ვაი ჩემი ცოდვა, ჩემი შვილი რო ცოცხალი შეკ-
ლოდა, მაშინ კარ დამივიწყებდი ჩასე. — განაგრძო გუო-
მოკლულად. გარსევანმა უხერხულად იგრძნო თავი, პირი
მოარიდა და სახლის წინ თავლაზე დასკუპებულ ბელურას
დაუწყო ყურება.

— რატო ბრძანებ დედა ჩაგას. ჩემი ანოს დედა, და
მერე ჩემი კესოს გამზუდი უნდა დევივიწყო? მაგრამ ხომ
მოგეხსენება უბედური კაცის ცხოვრება, ერთი დღე არა
მაქ მოსვენება. სამსახური, სულ სამსახური, სტუმარივით
მოვდიგარ სახში. ეხლაც სად მექნებოდა დრო აგრძ ბოვში
უგვიანდება კლაში შეყვანა თორებ. ჩეარა ათი წლის გან-
დება, მაისში უნდა დეიქიროს ეგზამენი და რაღა დარჩა,
რაცხა ოთხი თვე, ამხანში თუ მოგასწარი მომზადება...

— რავა, უნდა წევიყვანო ახლა? — უთხრა როდაბმა,
მის ხმას კანკალი დაეტყო, გული შეუტო კდა.

— უნდა წევიყვანო, — უთხრა ცოტა დაგვიანებით.
კესო იმ დროს კაბას ისწორებდა, ჭარხალივით წამოწითლო-
და სიხარულით... იმავ წამს დარღმა მოიცვა მისი სახე, ხე-



სპარსეთის მინისტრ-პრეზიდენტი ჰაპებდარი.

ლები ძირს დაყარა, ჩაფითრებული ტუჩები აუთოროლდა და განივრად გაღებულ თვალებით დაცემული დიდების. ლი-დედა გაყითლებული იღვა და გულ მოკლული შეჰქურებ-და თავის საუნჯეს.

— ბებია? შენი კირიმე, უნდა დაგტოვო? — კესომ გაშა-ლა ხელები და ქვითინით ჩაეკრა გულში გამზრდელს.

მოხუცი ცოტა ხანს იყო გარინდული, ყელში რაღაც აწვებოდა, მერე სძლია გრძნობას. თითქოს უეცრად გაუ-კაედა გულიო. ნერწყვი ჩაჰქლაპა, თვალებზე მომდგარი ცრემლი უკუაქცია. ბავშვის შუბლზე აკოცა, თავი აუწია და ლიმილით ჩაჰქედა თვალებში.

— უნდა წახვიდე, გრიაცვალოს ბებია, უნდა ისწველო და განათლებული ქალი გამოხვიდე, აბა სულ ჩემთან ხომ არ იქნები შვილო. დღეს სწავლა, მხოლოდ სწავლა უნდა გინდოდეს.

— შენ, ბებილო, შენ რომ მარტო დარჩები? — შეეკით-ხა კესო გულ მტკიცნეულად.

— მე რა მიკირს, შვილო. შენს ხბოს გავზდი... შენს წიწილებსა, ყველსა და კვერცხებს გამოგიგზანი, ზაფხულ-ში კიდო მოგიყვანს მამა. ჩემო სიხარულო. — უთხრა და მოიცილა გულიდან.

4

იმ დღეს ვეღარ მოასწრო გარსევანშა წასვლა.

კესო მოსამზადებელი იყო. ღამით ჩაულია ბებიამ ყვე-ლაფერი... დილით, პირ-ჯვარი გადაისახა, სამჯერ წალმა დაბრუნა, დალოცა და დელევენში ჩასვა.

დილხანს იდგა როდაბი მუხლამდის ტოვლში დიდხანს გაჰქურებდა კესოს გზას როცა დელევენი წერტილის ოდე-ნად გადიქცა თოვლით გადაპენტილ გზაზე, მერე სრულე-ბით შთაინთქა თეთრ ბურუსში. როდაბმა ერთი ამოიხრა, თვალები მაგრათ მოისრისა, ცრემლი რომ არ გადმოდენო-და, ჯოხი მოიმაგრა ხელში და ნელა გაუდგა გაუკვალავ გზას სახლისკენ. წინ კესოს პატარა ფეხის ნაკვალევი ხვდე-ბოდა რომელზედაც წელან გაიარა. როდაბის თვალები სულ იმ ნაკვალევს ჩასკეროდნენ მზათ იყო დახრილიყო და მმბორი ეყო ბავშვის ნაკვალევისთვის.

არც თუ კესო იყო უკეთეს ვუნებაზე. ვუშინ გამოეთ-ხოვა მასწავლებელს, რომელმაც დალოცა და კარგი ქალო-ბი უსურვა, გამოეთხოვა ამხანაგებაც, თავის ციცასაც, ლა-მაზ ხბოსაც, რომელსაც ყოველ დღე უკოცნილა ლმობიერ თვალებს. ყველაფერი აღვილათ დასთმო მაგრამ დიდე-დას დათმობა-კი, ძალიან ძნელი იყო. ახარებდა მხოლოდ ერთი, პატარა ძმის-სერგოს-ნახვა და აინტერესებდა ახალი მდგომარეობა. ახალი სასწავლებელი და სწავლა, ახალი ცხოვრების დაწყება.

გავიდა ზამთარი, ზამთარს ზაფხული მოჰყა, ზაფხულს ისევ მეორე ზამთარი. კესო ამ ხნის განპავლობაში ერთხე-ლაც აღარ გაგზავნეს დიდედასთან. პირველი თოხი თვე მომზადებას მოუნდა, მაისში ეგზამენი დაიჭირა საეპარქიო სკოლის მეორე მოსამზადებელში გარსევანიც მღვდლის შვი-ლი იყო და კესო მიიღეს, სწავლის ქირას არ იხილნენ.

სახარბიელო არ იყო კესოს მდგომარეობა; როდაბის თქმის არ იყოს, გარსევანი სტუმარი იყო, სახლში ორ სამ დღეში ერთხელ თუ დაბრუნდებოდა, ძილია და დასვენებას უნდებოდა, ისადილებდა ან ივაბშებდა, და ისევ გასწევდა სამსახურში რკინის გზის მოსამსახურეს სად ეცალა კესოს სალოლიავებლად მხოლოდ სწუბდა; „რათ გახდა ბავშვი ასეო“. მაგრამ ისევ თავად დაიმშვიდებდა გულს „ალბათ სწავლა ვერ აიტანა მაგრამ არაუშავს შეეჩევა და გაუ-დეილებათ“.

კესოს ტანჯვა-კი, სულ სხვა იყო, ერთხელ არ უნა-ხდეს გახსნილი წარბი, ერთხელ არ შეუმჩნევია კეთილი დი-

მილი დედინაცვლის სახეზე. სულ ყველება, პლუტონიუმისან- გარიში. საკმელიც აღარ უნდოდა ბავშვს. ბევრჯერ მოხვ-და დედინაცვლის ხელი ბევრჯერ უბრალო რასმესთვის უსა-დილოდ დარჩა.

დედინაცვლისთვის რომ გეკითხათ, რათ ეჭიდები ასე მკაც-როდო, მაშინვე კესოს ცუდ უოფა-კეცვას მოიმიზებდა.

— დაუდეგარი ანცია: ამოდენა ქალია და კკვა-კი, არა იქვს.

პირ იქით კესო სამაგალითო ხასიათისა იყო, რაც არ შეეფერებოდა თორმეტის წლის ბავშვის ბუნებას: დინჯი, დაფიქრებული, ხანდისხან თუ გაუელვებდა კმაწვილური სი-ცელებე. მოუნდებოდა თამაში, მხიარულება, წუთიერი იყო-ეს წამები მისთვის. საჩქაროდ ჩაიკლავდა გულში მხიარუ-ლებას, რადგან იცოდა არა შესაფერ ჯილდოს მისძღვინდა დედინაცვალი. ანუგეშებდა მხოლოდ მაშის სამსახური, საჩ-ქაროდ დაუწმენდდა ჩექმებს, პალტოს, სამკზაროო კალათს ჩაულაგებდა. სწავლობდა გულმოლგინედ და ბევრსა ფიქ-რობდა დიდედისას.

ასე მიღიოდა დღეები, თვეები, წელიწადები. კესო ხში-რად წუწუნებდა, დიღედასთან წასასელებლად მაგრამ დედი-ნაცვალი სჯობნიდა. მამას რაც უნდა ჰყარებოდა კესო, რაც უნდა მისი სურვილის აღსრულება სღომებოლა, ყველა-ფერს დედინაცვალი გულ-ცივი გაღაათ შეევინებდა. პხედავდა გარსევანი როგორ იჩაერებოდა ბავშვი მაგრამ, ცოლთან უსიამოვნობებას, სიჩუმეს არჩევდა, ბოლმას გულში იხვევდა და თუ დროს ჩაიგდებდა, ნაზათ ეალერსებოლდა შვილს, ცრემლით შესთხოვდა მოეთმინა ყოველივე თავის და მამის სასარგებლოდ.

დედინაცვალს ეძნელებოდა კესოს მოცილება, სერგოს გარდა კიღევ გაუჩნდა ორი პატარა. სახლის მოვლა, ბავშვე-ბის, სარეცხი და საკერავი, ყველა ერთად როგორ შეეძლო სუსტ დედაკაცს. კესო დაუცხრომლად მუშაობდა სახლში, მაგრამ სწავლაში მაინც ვერაფერი უშლიდა ხელს თუ დღი-სით ვერ მოიცლიდა და გაკვეთილები დაუწმადებელი დარ-ჩებოდა, დილით აღრიც წამოიქრებოდა თავის პატარა ლო-გინიდან, რომელიც დიდ კალათსა და შეაგილის ქვეშ ჰქონდა მოთავსებული. დილასვე ასწრებდა სწავლას: ყველაფერს ჩერა ითვისებდა მისი გონება, მხილოდ უჭირდა რუსული ენა, როგორც ბევრ მის ამხანაგს, რო-მელი ბავშვიც ისეთ ოჯახიდან იყო, საცა მშობლები მშობ-ლიურ ენას ლაპარაკობდნენ. იმ მოწაფეთ ყველას უჭირ-დათ, მაგრამ რუსულის მასწავლებელი, თვითონ რუსი, გო-ნებით განათლებული ადამიანი ჰქონდავდა მიზეზს ამ საქმისას და არ ჰქიგრავდა უმაწვილებს. სამ ნიშანზე ქვევით — არც კესოს მიუღია თავის დღეში. სამაგიეროდ სხვა საგნები, ლი-ტერატურა და მათემათიკა მისი საყვარელი საგნები იყო. ცომეტის წლის კესო მეოთხე კლასში გაღავიდა, ბრწყინვა-ლე ნიშნები მოიტანა, სახე გაშუქებულმა მიაგდო ტახტე წიგნების ჩანთა, მამას ნიშნები მისცა ხელში და მოხევია ყულზე. გახარებულმა გარსევანმაც ჩაჰქოცნა გამარჯვებული შვილი.

(შემდეგი იქნება)

8. გარიყულო.

